

სკოპინგის დასკვნა N14

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 130 მვტ სიმძლავრის „ფარავანის“ ქარის ელექტროსადგურის, 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანი“ (ს.კ. 402225043);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 21.04.2026;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გერგილი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანი“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, 130 მვტ სიმძლავრის „ფარავანის“ ქარის ელექტროსადგურის, 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომ - ეგხ) მშენებლობა და ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ქარის ელექტროსადგურის, 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალამოს და სოფ. განძის მიმდებარე ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორია მოიცავს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. ქარის ელექტროსადგურის ტურბინიდან (C1) უახლოესი დასახლებული პუნქტები (სოფ. სალამო და სოფ. განძა) დაშორებულია დაახლოებით 4 და 5 კმ-ებით. საპროექტო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზი გადაკვეთს მდ. მეცვორს, ხოლო საპროექტო მისასვლელი გზა - მდ. განძისხევს და მდ. მეცვორს.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის, განხილულია ქარის ელექტროსადგურის, ქარის ტურბინა-გენერატორების, ქვესადგურის, განახლებადი ენერჯისა და ტექნოლოგიური ალტერნატივები. ასევე მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი)

ალტერნატივა. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 21 ერთეული (Envision Energy ან Sany Renewable Energy) ტურბინა-გენერატორის მოწყობა. ტურბინის ღერძის სიმაღლე იქნება 115 მეტრი. ტურბინების ნომინალურ სიმძლავრედ მითითებულია 6.25 მგვტ, ხოლო ელექტროენერჯის წლიური წმინდა ენერგოგენერაცია იქნება 412595.12 მგვტ.სთ. ქარის ელექტროსადგურის საპროექტო ტურბინების განთავსების წერტილების GPS კოორდინატებია: C1 ტურბინა - X-400340, Y-4574771; C2 ტურბინა - X-401067, Y-4573741; C3 ტურბინა - X-402965, Y-4568127; C4 ტურბინა - X-401618, Y-4575883; C5 ტურბინა - X-403715, Y-4573770; C6 ტურბინა - X-404092, Y-4573051; C7 ტურბინა - X-406345, Y-4569950; C8 ტურბინა - X-404465, Y-4572537; C9 ტურბინა - X-405196, Y-4571659; C10 ტურბინა - X-405555, Y-4571130; C11 ტურბინა - X-405926, Y-4570565; C12 ტურბინა - X-401112, Y-4572891; C13 ტურბინა - X-401517, Y-4571944; C14 ტურბინა - X-402970, Y-4567175; C15 ტურბინა - X-402945, Y-4569018; C16 ტურბინა - X-405830, Y-4574573; C17 ტურბინა - X-406337, Y-4573814; C18 ტურბინა - X-406684, Y-4573291; C19 ტურბინა - X-407113, Y-4572603; C20 ტურბინა - X-407593, Y-4571847; C21 ტურბინა - X-408012, Y-4571238.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ტურბინების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია დაახლოებით 43.5 კმ სიგრძის მიწისქვეშა 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზის საშუალებით გადაეცემა საპროექტო 220 კვ ძაბვის ქვესადგურს. მიწისქვეშა ეგზ განთავსდება 1200 მმ სიღრმის მიწის თხრილში, ძირითადად საპროექტო მისასვლელი გზების გასწვრივ. მიწისქვეშა საკაბელო ხაზთან ერთად ტრანშეაში განთავსებული იქნება რკინა-ბეტონის ანაკრეფი ფილა და მანიშნებელი ლენტი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის ტურბინა-გენერატორების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შეკრების, ამალღების და ქვეყნის ელექტროქსელში ჩართვის მიზნით გათვალისწინებულია 220 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა. ქვესადგურის განთავსების GPS კოორდინატებია: X-403324, Y-4572921; X-403384, Y-4572827; X-403269, Y-4572753; X-403209, Y-4572848. ქვესადგურში განთავსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა: დამიწების და მეხამრიდი სისტემები, საკაბელო მეურნეობა, სატრანსფორმატორო და სახაზო უჯრედები, შემკრები სალტე და მართვისა და დაცვის კონტეინერი. ქვესადგურის ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა 180 მ³ ტევადობის ზეთშემკრები ავზი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ჩართვის საკითხი არ არის გადაწყვეტილი და წარმოდგენილი იქნება დამოუკიდებელი პროექტის სახით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიამდე გადაადგილება შესაძლებელი იქნება არსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კოდა-ფარცხისი-

მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის და ადგილობრივი გრუნტიანი გზების გამოყენებით. პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია არსებული გრუნტის გზების რეაბილიტაცია/გაუმჯობესების და ახალი გზების მოწყობის სამუშაოები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო გზების საერთო სიგრძე იქნება დაახლოებით 37.18 კმ, ახალი გზების სიგრძე დაახლოებით 35.53 კმ-ს შეადგენს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო ბანაკი განთავსდება C6 ტურბინის მიმდებარედ. სამშენებლო ბანაკის GPS კოორდინატებია: X-403199, Y-4572846; X-403147, Y-4572929; X-403271, Y-4573008; X-403324, Y-4572926. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა შემდეგი ობიექტები: საცხოვრებელი კემპები, ლაბორატორია და ოფისები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ტერიტორიაზე შესაძლებელია მოეწყოს 75 მ³/სთ წარმადობის მობილური ბეტონის საწარმო, რაც დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, განხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება, მისი შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა იქნება დაახლოებით 11347.5 მ³. ნაყოფიერი ფენის დასაწყობების ადგილის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია: X-405142, Y-4573621. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მოსალოდნელია დაახლოებით 30000 - 60000 მ³ მოცულობის გრუნტის წარმოქმნა, რომლის ნაწილი გამოყენებული იქნება ამოვსებითი ოპერაციებისთვის, უკუჩაყრისთვის, სამუშაო უბნების ტექნიკური რეკულტივაციისა და/ან მისასვლელი გზების მოსაწყობად. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გრუნტის განთავსების (შევსებას დაქვემდებარებული) ტერიტორიის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია: X-404142, Y-4575262. გრუნტის მართვის საკითხი დაზუსტება გზშ-ის ეტაპზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო ან/და ტექნიკური მიზნებისთვის. სასმელად გამოყენებული იქნება ბუტილირებული, ხოლო სამეურნეო/ტექნოლოგიური მიზნებისთვის - რეგიონში არსებული წყალმომარაგების სერვერიდან აღებული ან ბუნებრივი ზედაპირული წყალი. სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვისთვის გამოყენებული იქნება ბიოტუალეტები, რომელიც დაგროვების შესაბამისად გატანილ იქნება მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემაში. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ბეტონის საწარმოში საწარმოო წყლების მართვის მიზნით გამოყენებული იქნება სალექარში დაყოვნების და ტექ-ციკლში დაბრუნების პრინციპი.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების პროცესთან. საქმიანობის

სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას არ ექნება ადგილი. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ბეტონის საწარმოს მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება დაზუსტებული ინფორმაცია აღნიშნული დანადგარის შესახებ, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტთან ერთად.

მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელება დაკავშირებული იქნება მძიმე ტექნიკის ექსპლუატაციასთან და ბეტონის საწარმოს ფუნქციონირებასთან, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - ქარის ტურბინების ფუნქციონირებასთან. ხმაურის გავრცელება დამოკიდებული იქნება ქარის სიჩქარეზე და ტურბინების პარამეტრებზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, უახლოესი დასახლებული პუნქტების დაცილების მანძილიდან გამომდინარე, ხმაურის დონის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება. თუმცა, საპროექტო უბანზე გასათვალისწინებელია გრუნტის ლოკალური არამდგრადობა და ტექტონიკური დარღვევები. საპროექტო ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის თანახმად, გაყვანილი 12 ჭაბურღილიდან მიწისქვეშა წყალი გამოვლინდა 5 ჭაბურღილში, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია ზემოქმედება მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოებისას გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, დროებითი წყალარინების სისტემების მოწყობა და სამუშაო არეალებიდან გრუნტის წყლის ეფექტური დრენირება და სხვ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვიზუალურ-ლანდშაფტურმა ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფრინველთა სხვადასხვა სახეობის გადაადგილების მარშრუტებზე, ძუძუმწოვართა მიერ ტერიტორიის გარკვეული დროებით არიდებაზე და სოციალურ გარემოზე. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშში იქნება წარმოდგენილი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელება მცენარეული საფარის გარემოდან ამოღება. საპროექტო არეალი წარმოდგენილია ორი ძირითადი სარტყლით - ალპური და სუბალპური. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო არეალში და მის მიმდებარედ საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობები არ გამოვლინდა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ლიტერატურულ წყაროებსა და საპროექტო არეალში წარმოებულ სეზონურ კვლევებზე დაყრდნობით, საპროექტო არეალში შესაძლოა დაფიქსირდეს ფრინველების 140-ზე მეტი, ხელფრთიანების 25 და სხვა ტიპის ძუძუმწოვართა 21 სახეობა. საველე კვლევებისა და არსებული ლიტერატურული მონაცემების შესაბამისად, საპროექტო არეალში საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობებიდან შესაძლებელია შეგვხვდეს: ფრინველებიდან - წითელი იხვი (*Tadorna ferruginea*), გარიელი (*Melanitta fusca*), მურტალა (*Podiceps grisegaena*), ვარდისფერი ვარხვი (*Pelecanus onocrotalus*), ქოჩორა ვარხვი (*Pelecanus crispus*), ლაკლაკი (*Ciconia ciconia*), ყარყატი (*Ciconia nigra*), ორბი (*Gyps fulvus*), ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*), ბექობის არწივი (*Aquila heliaca*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*), ქორცვიტა (*Accipiter brevipes*), მცირე კირკიტა (*Falco naumanni*), თვალშავი (*Falco vespertinus*), რუხი წერო (*Grus grus*). ხელფრთიანებიდან შესაძლოა შეგვხვდეს - ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*), გრძელყურა მდამიობი (*Myotis bechsteinii*), ხოლო ძუძუმწოვრებიდან - მურა დათვი (*Ursus arctos*), წავი (*Lutra lutra*) და კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ან/და მის უშუალო სიახლოვეს ხელფრთიანები და ძუძუმწოვრები არ დაფიქსირებულა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დამცავ ზონებში, თუმცა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, პროექტით გათვალისწინებული გზის ნაწილი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - განძანის ეკლესიის (გის N17730) ვიზუალური დაცვის არეალში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა სახელმწიფო ტყის, დაცული ტერიტორიების, ზურმუხტის ქსელის და ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიის (SPA) ფარგლებში, თუმცა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საღამოსა და მადათაფას ტბების ალკვეთილების სიახლოვეს. უახლოესი ზურმუხტის ქსელის საიტი - „მადათაფა“ (GE0000004) დაშორებულია დაახლოებით 7 კილომეტრით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მსგავსი ტიპის არსებული ობიექტები არ ფიქსირდება, ასევე, არ იგეგმება მსგავსი პროექტების განხორციელება. შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემული იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება. მათ შორის, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და

ფეისბუქ გვერდზე. ასევე, გაეგზავნა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2026 წლის 14 მაისს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. განძის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანის“, შპს „გერგილის“ წარმომადგენლები, ასევე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ძირითადად ეხებოდა: გამომუშავებული ელექტროენერჯის ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოხმარების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, სამოვრების შეზღუდვისა და პირუტყვზე ხმაურის ზემოქმედების საკითხებს. აღნიშნულ შეკითხვებზე საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა და საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ შესაბამისი განმარტებები გააკეთეს. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;**
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;**
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;**
4. **გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში,**

მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილების აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, ზემოქმედების არეალში არსებული საპროექტო მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების (მათ შორის, ქარის ელექტროსადგურის, ტურბინა-გენერატორების, ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და ფუჭი ქანების განთავსების, ეგზ-ის და ქვესადგურის) შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი (განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების) თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება. მათ შორის, ქარის ტურბინა-გენერატორების კონკრეტული ლოკაციების, დამხმარე ინფრასტრუქტურის, საპროექტო 220 კვ ძაბვის ქვესადგურისა და ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ადგილების დეტალური აღწერა, საკადასტრო კოდების, ფართობების, GPS კოორდინატების მითითებით, პროექტის ერთიან Shp ფაილებთან (მათ შორის, პოლიგონური) ერთად;
- საპროექტო ინფრასტრუქტურიდან (ქარის ელექტროსადგური, ტურბინები, ეგზ და ქვესადგური) დაზუსტებული მანძილები უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე, დასახლებულ პუნქტ(ებ)ამდე და ზედაპირულ წყლის ობიექტ(ებ)ამდე, გენ-გეგმაზე კონკრეტული მანძილების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ქარის ელექტროსადგურის შემადგენელი ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი, მათ შორის, საპროექტო ქვესადგური, ტურბინა-გენერატორები, ელექტროგადამცემი ხაზი, მისასვლელი გზები და სხვ.;

- ქარის ელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ (თვეების, წლების განმავლობაში) ინფორმაციის მითითებით. საოპერაციო დროის/წლის განმავლობაში სამუშაო რეჟიმის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ქარის ელექტროსადგურის, ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის ტექნიკური პარამეტრების ცხრილი, პროექტის განმარტებითი ბარათი, ქარის ელექტროსადგურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ ინფორმაცია (ობიექტების ტექნიკური მახასიათებლების მითითებით);
- ინფორმაცია ტურბინების რაოდენობის, ტიპის, თითოეული ტურბინის ადგილმდებარეობის, დადგმული სიმძლავრის, ტურბინების სიმაღლისა და ფრთების დიამეტრის შესახებ;
- ინფორმაცია ტურბინებისთვის, ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურისთვის გათვალისწინებული დაცვის ზონების (ბუფერის) შესახებ (სქემატურ რუკაზე დატანით და შესაბამისი Shp ფაილებით), მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;
- ინფორმაცია ქვესადგურის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ზეთის დაღვრის პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი ზეთშემკრები სისტემის შესახებ;
- ინფორმაცია ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა ეგზ-ის (მათ შორის, ტრანშეის პარამეტრების) და მისი განთავსების პირობების შესახებ;
- ეგზ-ის დერეფნების დეტალური აღწერა, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, დეტალური ინფორმაცია მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის, მისი შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ელექტროსადგურის და შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების (მათ შორის, სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით) შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ, მართვის ღონისძიებების მითითებით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;

- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5.1 გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (იდენტიფიცირებული პროცესები მოცემული უნდა იყოს კოორდინატებში).

5.2 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ (სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკთან ერთად);
- მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით), ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნ(ებ)ის შესახებ (მათ შორის, სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორიის დეტალური აღწერა-დახასიათება, სამშენებლო

ბანაკის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით). წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის და მოედნ(ებ)ის დაზუსტებული ადგილმდებარეობა (GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად), მანძილი უახლოეს მოსახლემდე;

- დასაბუთებული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სანაყარო(ები)ს განთავსებისთვის შერჩეული ადგილის/ადგილების გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები. **სანაყარო(ები)სთვის ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს;**
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნ(ებ)ის ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ;
- სამშენებლო ბანაკზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;
- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვების შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ;
- ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებულის რეაბილიტაციის შესახებ. ახალი მისასვლელი გზების მოწყობის ან/და არსებული გზების რეაბილიტაციის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გზების პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით (შესაბამისი სქემატური ნახაზებითა და shp ფაილებით). ასევე შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობით/რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე (მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე) და ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- ბეტონის საწარმოს მოწყობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია:
 - ბეტონის კვანძის განთავსების ადგილის (გენ-გეგმაზე ასახვით, Shp ფაილებსა და GPS კოორდინატების მითითებით), ტექნოლოგიური ობიექტების/დანადგარების შესახებ (დანადგარების საპასპორტო მონაცემების მითითებით), მათ შორის, წარმადობის, სამუშაო რეჟიმის, გამოყენებული ნედლეულისა და მიღებული პროდუქტის შესახებ;
- ინფორმაცია ბეტონის საწარმოს ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირითა ან/და სხვა კომუნიკაციებით მომარაგების შესახებ (გამოსაყენებელი რაოდენობების მითითებით);
 - ინფორმაცია ბეტონის საწარმოს წყალმომარაგებისა და წყალარინების შესახებ;

5.3. გზშ-ის ანგარიშში, ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის, ორნითოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ორნითოფაუნის საბინადრო ადგილებზე, მიგრაციის მარშრუტებზე), ხელფრთიანებზე და მათზე

შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებებზე;

- საპროექტო ტერიტორიის სრულფასოვანი, ოთხეზონიანი ორნითოლოგიური კვლევის სრული შედეგები და საპროექტო არეალის ვიზუალური დათვალიერების მასალები (შესაბამისი ფოტოსურათებით), ასევე მოსალოდნელი ზემოქმედებების დეტალური ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ფრინველთა მნიშვნელოვანი ტერიტორიის GE029 - სადამოს ტბის სიახლოვეს. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე უნდა შემუშავდეს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, რომელმაც საჭიროა მოიცვას ცხოველებზე, მათ შორის ფრინველებსა და ხელფრთიანებზე დაკვირვების, აგრეთვე დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით;
- დეტალური ინფორმაცია საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და საერთაშორისო ჩარჩოს შესახებ. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია, რამდენად შეესაბამება და ითვალისწინებს დაგეგმილი საქმიანობა როგორც ეროვნულ სამართლებრივ მოთხოვნებს, ისე ბიომრავალფეროვნების კონტექსტში საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს. ასევე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უპასუხებს პროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ კანონს, რათა გამოირიცხოს დაცული სახეობებისა და მათი ჰაბიტატების დაზიანება;
- ინფორმაცია საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი ჰაბიტატებისა და მიგრირებადი სახეობების დაცვასთან, მათ შორის, განხილული უნდა იყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის, ასევე, ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის („ბერნის კონვენციის“) მოთხოვნები „ზურმუხტის ქსელთან“ მიმართებით. აგრეთვე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენციის („ბონის კონვენცია“/CMS) მოთხოვნების შესახებ;
- პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროპაში დამურების დაცვის შესახებ შეთანხმებასა (EUROBATS) და აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ შეთანხმების (AEWA) მოთხოვნებზე. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ფრინველებისა და ხელფრთიანების კვლევის მეთოდოლოგიები, ზემოქმედების შეფასება და შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები უნდა

შეესაბამებოდეს და დაიგეგმოს ზემოაღნიშნული საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების მოქმედი სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.

6. ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის, ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (მოწყობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზმ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების დეტალური შეფასების მიზნით, დაზუსტებული უნდა იყოს და დაზუსტების შემთხვევაში გათვალისწინებული - ბეტონის საწარმოდან (მოწყობის შემთხვევაში) ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახეობები, ინტენსივობა და ზემოქმედების ფაქტორები ატმოსფერულ ჰაერზე;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების მოდელირება;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედება ზედაპირულ წყლის ობიექტზე და გრუნტის წყლებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- საპროექტო არეალის ჰიდროლოგია და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შეფასება;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. მათ შორის, შეფასებული უნდა იყოს ჩრდილის ციმციმთან დაკავშირებული ზემოქმედება და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები;

- ზამთრის პერიოდში ქარის ტურბინებზე ყინულის წარმოქმნით/ყინულის ცვენით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- შესაძლო პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით), მათ შორის, სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებული (მ.შ. არსებობის შემთხვევაში, ქარის ტურბინების დაცვის ზონაში/ბუფერში მოქცეული) მიწის ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე (მ.შ. საძოვრებზე ზემოქმედება). ამასთან, საჭიროა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, მოსალოდნელი სავარაუდო ზიანი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია რეგიონში არსებული ან/და დაგეგმილი საქმიანობების გათვალისწინებით (კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ორნითოფაუნის საბინადრო ადგილებს, მიგრაციის მარშრუტებსა და ხელფრთიანებზე შესაძლო ზემოქმედების საკითხებს);
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების,

მონიტორინგის მეთოდის, მონიტორინგის სიხშირისა და სხვ. მითითებით) და შემარბილებელი ღონისძიებები;

- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე, საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების შეფასების და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და ინფორმაცია წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ.

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს/მოიცავს ანდეზიტის (ბაშკრანი, შიშტეპე) და ვულკანური წილის (ემილიკლი, კარახაჩი, გილიხდაგი, შიშტეპე, მაგარადერესი) გამოვლინებების კონტურებს და, შესაბამისად, ექვემდებარება წიაღზე დამაგრებას. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების (მათ შორის, კომუნიკაციის) ამსახველი დოკუმენტაცია;
- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, პროექტით გათვალისწინებული გზის ნაწილი ექვემდებარება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - განძანის ეკლესიის (გის N17730) ვიზუალური დაცვის არეალში, შესაბამისად, ამ მონაკვეთზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების (მათ შორის, კომუნიკაციის) ამსახველი დოკუმენტაცია;
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, საპროექტო არეალი უშუალოდ არ კვეთს დაცული ტერიტორიების საზღვრებს, თუმცა მდებარეობს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული - საღამოსა და მადათაფას ტბების აღკვეთილების

სიახლოვეს. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე შერჩეული საპროექტო არეალის შესახებ უნდა დაზუსტდეს შემდეგი დეტალები: **განისაზღვროს მაქსიმალური დისტანცია** (დასაბუთდეს, რამდენად არის დაცული ოპტიმალური მანძილი დაცული ტერიტორიების საზღვრებიდან და არსებობს თუ არა ტექნიკური შესაძლებლობა ამ დისტანციის მაქსიმალურად გაზრდის), **შეფასდეს შესაძლო რისკები** (სრულყოფილად იქნეს შესწავლილი და შეფასებული ყველა პოტენციური საფრთხე, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ფრინველთა პოპულაციებს (მათ შორის, შეჯახების რისკი, ხმაურის ზემოქმედება და მიგრაციის გზების ცვლილება)), **გათვალისწინებულ იქნას ქვეყნის ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულება** (დაგეგმილი საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რამსარის კონვენციას, ასევე „ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციისა (ბერნის კონვენცია) და სხვა ნაკისრი ვალდებულების პრინციპებს). აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;

- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო არეალი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 1.1. ქვეპუნქტის თანახმად, 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი და სარგებლობის საფუძველი ან/და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების (არასასოფლო-სამეურნეო) შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის ზოგიერთ ქვეთავში მოცემულია საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული სახეობების მხოლოდ ლათინური სახელწოდებები, რაც კორექტირებას საჭიროებს;
- გზშ-ის ანგარიშში დასაზუსტებელია/დასაკორექტირებელია „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული სახეობების სია, საპროექტო ტერიტორიის შესაბამისად;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „ქარის ელექტროსადგურის ძირითადი ობიექტები, მათ შორის ქარის ტურბინები არ ხვდება ზედაპირულ წყლის ობიექტებზე ან/და მათ უშუალო სიახლოვეს.“ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ როგორც საპროექტო მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზი, ასევე საპროექტო გზა

კვეთს მდ. მეცვორის. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია მდინარის გადაკვეთასთან დაკავშირებით;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „ფარავნის ქარის ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრე შეადგენს 130 მვტ-ს.“, ხოლო სკოპინგის ანგარიშის სხვა ნაწილში აღნიშნულია, რომ „საპროექტო დადგმული სიმძლავრის მიღწევის მიზნით, ოპტიმალურ ვარიანტად განსაზღვრულია 21 ერთეული 6.25 მგვტ მაქსიმალური სიმძლავრის ტურბინის გამოყენება“. აღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს ფარავნის ქარის ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრე;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს სამოვრებად. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სამოვრების ხელმისაწვდომობისა ან/და მოსახლეობის ალტერნატიული სამოვრებით უზრუნველყოფის საკითხი, ალტერნატიული ტერიტორიების მითითებით (საკადასტრო კოდი, GPS კოორდინატები);
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო მისასვლელი გზა მარაბდა–კარწახის რკინიგზის ამაღლებული მონაკვეთის ქვეშ გაივლის, შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია, აღნიშნულ მონაკვეთზე გზის მოწყობისას ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „პროექტის შემდგომი განვითარების მიზნით საჭირო იქნება გზების ზოგიერთ მონაკვეთების გაგანიერება და კეთილმოწყობა, ხოლო ზოგიერთ მონაკვეთებზე ახალი გზების მოწყობა“. გზშ-ის ეტაპზე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია რეაბილიტაციას დაქვემდებარებული და ახალი გზების მოწყობის ადგილების შესახებ (აღნიშნული ასახული უნდა იყოს როგორც გენ-გეგმაზე, ასევე Shp ფაილებში);
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივები ზოგადი ხასიათისაა. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის ადგილმდებარეობის შერჩევის ფარგლებში, ადრეულ საპროექტო ეტაპზე, განხილული იქნა ორი ალტერნატიული ვარიანტი: ქარის ელექტროსადგურის პროექტის განვითარება ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში და ქარის ელექტროსადგურის განვითარება ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.“ აღნიშნული ჩანაწერი ზოგადია და არ მოიცავს ალტერნატიული ტერიტორიების შესახებ არსებით ინფორმაციას. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე საჭიროა კონკრეტული და დაზუსტებული ტერიტორიების წარმოდგენა, GPS კოორდინატების მითითებით და მათი SHP ფაილებზე ასახვით;

- გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშში ტურბინების ადგილმდებარეობის ალტერნატივების სახით განხილულია მხოლოდ 3 ტურბინა, რაც ადგილმდებარეობის ალტერნატივად ვერ განიხილება. ამასთან, აღნიშნულია, რომ „ალტერნატიულ ლოკაციებად მიჩნეულია ის უბნები, სადაც დაფიქსირდა შედარებით დაბალი ქარის სიჩქარე სხვა შერჩეულ პოზიციებთან შედარებით.“ შესაბამისად, შედარებითი ანალიზი განხორციელებულ იქნა მხოლოდ ენერგეტიკული პოტენციალის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ტურბინების ადგილმდებარეობის ალტერნატივა, ხოლო ალტერნატივების ანალიზი განხორციელებული უნდა იქნას ასევე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით;
- ტექნოლოგიური ალტერნატივების ქვეთავში 4.3. აღნიშნულია, რომ „ტურბინების შერჩევის პროცესში მწარმოებლებთან ჩატარებული კონსულტაციების საფუძველზე მიღებულ იქნა ექვსი სხვადასხვა ტურბინის მოდელის ტექნიკური პარამეტრები, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ექვსი ალტერნატიული ვარიანტი (WTG1, WTG2, WTG3, WTG4, WTG5, WTG6). ალტერნატივების შეფასება განხორციელდა ტექნიკური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე.“ თუმცა, ანგარიშში არ არის მოცემული ტურბინების მოდელის შესახებ ინფორმაცია. ალტერნატივების ანალიზი უნდა მოიცავდეს ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაციასა და შედარებით ანალიზს, რაც გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ქვესადგურის ალტერნატივების შედარებისას უპირატესობა მიენიჭა ერთ-ერთ ვარიანტს რელიეფის შედარებით ხელსაყრელი პირობების, მისასვლელ გზებთან კავშირის, ჰიდროლოგიურად ნაკლებად სენსიტიური გარემოს, ეკოლოგიურად ნაკლები მნიშვნელობის მქონე ჰაბიტატებისა და იმ გარემოების გამო, რომ აღნიშნული ტერიტორია არ საჭიროებს მნიშვნელოვან ლანდშაფტურ ტრანსფორმაციას. ვინაიდან წარმოდგენილი ორივე ალტერნატიული ვარიანტი ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს, ზემოაღნიშნული გარემოებები ორივე ტერიტორიისთვის თითქმის იდენტურია. შესაბამისად, შერჩეული ქვესადგურის ალტერნატივის დასაბუთება დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორია ეტაპობრივად აღიდგენს ფუნქციურ და ვიზუალიზაციურ სტაბილურობას, ხოლო გრძელვადიანი ეფექტები პრაქტიკულად შეუმჩნეველია“. წარმოდგენილი შეფასება ვიზუალურ და ლანდშაფტურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით დამატებით დასაბუთებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „თითოეული ტურბინის განთავსების ადგილის მიახლოებით ფართობის (4100 მ²-ს) და ტურბინების ჯამური რაოდენობის (21) გათვალისწინებით, ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი შეადგენს $\approx 86\ 100$ მ²-ს, ხოლო სამშენებლო ბანაკის და ქვესადგურის ტერიტორიების, ასევე მისასვლელი გზების გათვალისწინებით დაახლოებით 151300 მ²-ს.“ თუმცა წარმოდგენილი Shp ფაილების გათვალისწინებით,

საპროექტო ტერიტორიის (მათ შორის, თითოეული ტურბინის განთავსების ადგილი, მისასვლელი გზები, ეგზ და სხვ.) ფართობი მნიშვნელოვნად აღემატება ანგარიშში მოცემულ მონაცემებს. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში ასათვისებელი ტერიტორიის ფართობი დაზუსტებას საჭიროებს, რაც ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და ამოსაღები გრუნტის რაოდენობის გაანგარიშებისას;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „სამშენებლო სამუშაოების დროს ტექნოლოგიური ან/და სამეურნეო მიზნებისთვის საჭირო წყლის მომარაგება დაგეგმილია განხორციელდეს რეგიონში არსებული წყალმომარაგების სათანადო სერვისებიდან ან განსახილველ ზონაში არსებული ბუნებრივი ზედაპირული წყლებიდან.“ ვინაიდან საპროექტო ტერიტორია დასახლებული პუნქტიდან მნიშვნელოვნადაა დაშორებული, წყალმომარაგების სისტემებისა და სერვისების შესახებ ინფორმაცია დაზუსტებას საჭიროებს, ხოლო ზედაპირული წლის ობიექტიდან წყალაღების შემთხვევაში, გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია წყალაღების წერტილის (მათ შორის, GPS კოორდინატები) შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია იმ მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები, სადაც დაგეგმილია საპროექტო ინფრასტრუქტურის განთავსება. თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული ინფორმაცია არასრულია და საპროექტო ტერიტორია მოიცავს ასევე სხვა მიწის ნაკვეთებსაც. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზმ-ის ანგარიშში;
- წარმოდგენილი Shp ფაილების თანახმად, საპროექტო გზის გარკვეული მონაკვეთები კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას ან/და მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენას;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია დროებითი სამშენებლო ბანაკების მოწყობა, სადაც ძირითადად განთავსებული იქნება სენდვიჩპანელების ტიპის საცხოვრებელი კემპები, ლაბორატორია და ოფისები.“ დაზუსტებას საჭიროებს ლაბორატორიის მოწყობის მიზანი და საჭიროება;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ბეტონის საწარმოს მოწყობის შემთხვევაში, ბეტონის საწარმოო წყლების მართვა განხორციელდება სალექარში დაყოვნების და ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნების პრინციპით. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სალექარის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ (ტიპი, განთავსების ადგილი, პარამეტრები, გაწმენდის ეფექტურობა);
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანის“ მიერ წარმოდგენილ საქმიანობაზე (130 მვტ სიმძლავრის „ფარავანის“ ქარის ელექტროსადგურის, 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.